

**მედია და გარემოსდაცვითი საკითხები  
(2015 წლის მიმოხილვა, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და  
რუსთავი 2-ის მაგალითზე)**

**ვახტანგ ქინქლაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის  
მენეჯმენტი**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ითონიშვილი, პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016**

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ვახტანგ ქინქლაძე

2016 წელი

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მთავარი თემა ქართულ მედიაში ასახული გარემოსდაცვითი საკითხებია. საკვლევ პერიოდად აღებულია 2015 წელი, ხოლო საკვლევ ობიექტია 2 ქართული ტელეარხის: საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებები. ნაშრომში აღწერილია საქართველოში გარემოს დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა და ამავე კუთხით არსებული და მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები. კვლევის მიზანია გვაჩვენოს, თუ რას და როგორ აშუქებს ქართული სატელევიზიო მედია. კვლევა პასუხებს გასცემს შემდეგ კითხვებს: რა სიხშირით ინტერესდება მედია გარემოსდაცვითი საკითხებით? იკვეთება თუ არა მათ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში საკითხის სიღრმისეული ანალიზი? რამდენად მრავალფეროვანია ამ ტელესიუჟეტების თემატიკა?

ნაშრომი სამი ძირითადი თავისგან შედგება. ნაშრომის მიზანია კრიტიკულად გაანალიზოს 2015 წელს მედიის მიერ გაშუქებული გარემოსდაცვითი საკითხები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** გარემოსდაცვა; მედია; ეკოლოგია; საინფორმაციო გამოშვება.

## Abstract

The main topic of this Master's thesis is the depiction of environmental issues in Georgian media. The time period the research focuses on is the year 2015. The news programs of the two Georgian TV channels, Georgian Public Broadcaster and Rustavi 2, are the research objects observed and analyzed. The thesis presents the current environmental situation in Georgia as well as the actual and possible risks related to it. The objective of the research is to show what issues are covered by the Georgian media and how. The research answers the following questions: How often does the Georgian media pay attention to the environmental issues? Are the stories produced by the Georgian media well-researched and analytically worthy? How diverse are these stories thematically? The thesis consists of three main chapters. It aims to critically analyze the media coverage of the environmental issues in the year 2015.

**Key words:** Environment; Media; News Release; Ecology